



## საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC),  
სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) და  
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP)  
ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI)**

**2012 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ანგარიში**

### **BP-ის ბიზნესსაქმიანობა საქართველოში**

BP საქართველოში 1996 წლიდან იმყოფება. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჩვენ მიერ ოპერირებული მილსადენების საშუალებით ენერჯის უსაფრთხო ტრანსპორტირება და მიწოდებაა. ამ დარგში ჩვენ წამყვანი ინვესტორი და ოპერატორი ვართ ნავთობისა და გაზის სამ მსხვილ პროექტში:

### **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) ექსპლუატაცია 2006 წლის ივნისში დაიწყო. BTC მილსადენი, რომლის მთლიანი სამშენებლო ღირებულება დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია. სრული წარმადობით მილსადენს საერთაშორისო ბაზრებისთვის დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მიწოდება შეუძლია, რაც მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

### **სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP)**

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს ბაზრებისთვის მიწოდება 2006 წლის დეკემბერში, ხოლო თურქეთში 2007 წლის ივლისში დაიწყო. გაზსადენი რეგიონის გაზომომარაგების ახალ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

### **დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)**

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც აგრეთვე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ჩვენმიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. ამ 830 კმ სიგრძის მილსადენით ნავთობი კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან, აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოშიმდებარე სუფსის

ტერმინალს მიეწოდება. მილსადენის მთლიანი მარშრუტის თითქმის ნახევარი საქართველოში მდებარეობს. WREP-ს, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, დღეში 100,000-მდე ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.

## **BP საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) მიმოხილვა**

### **პროგრამა BTC/SCP მილსადენების ახლომდებარე სოფლებში**

CDI-ს განხორციელება საქართველოში დაიწყო 2003 წლის დასაწყისში, SCP და BTC მილსადენების მარშრუტის ახლომდებარე 77 დასახლებაში. დასაწყისში პროგრამის განხორციელებადიწყო „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა 1“-ის (CIP 1) სახელწოდებით, ხოლო მოგვიანებით ეს დასახელება შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივით (CDI).

#### **CDI 1**

მილსადენების მშენებლობის ეტაპზე CDI 1-ის მიზანი იყო BP-ს და მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით.

მილსადენების მშენებლობის პერიოდში პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი სამი წლის განმავლობაში (2003-2006 წწ.) შეადგენდა 8 მილიონ აშშ დოლარს. მსგავსი პროგრამები აზერბაიჯანისა და თურქეთისთვისაც შეიქმნა.

BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ (2006 წელი), BP-მ, როგორც BTC და SCP მილსადენების ოპერატორმა, CDI-ის მე-2 ფაზის დაფინანსება კიდევ 3 წლით (2006-2009წწ) გააგრძელა, რომლის მიზანი BTC/SCP მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება იყო.

#### **CDI 2**

CDI-ს II ფაზა (CDI 2), ზოგადად, მიზნად ისახავდა BP-სა და BTC/SCP მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავებას, იმ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერის გზით, რომელიც მზად არის გახდეს საზოგადოების მდგრადი განვითარების მაგალითი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას, რათა მათ შეძლონ განახორციელონ პროექტები და უზრუნველყონ მათი მდგრადობა, მინიმალური საგარეო დახმარებით, პროგრამის ფარგლებში უნდა გაიზარდოს და გაუმჯობესდეს მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და შესაძლებლობები, და ეს ყოველივე BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.

2008 წლის დასაწყისში მიმდინარე საქმიანობასთან ერთად დაიწყო CDI 2-ის მარკეტინგული კომპონენტის – პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ (FtM)

განხორციელება. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო წვრილი ფერმერების დახმარება მათთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში, როგორცაა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოხვედრა გასაღების ბაზარზე. ამ მიზნით, პროექტს ეწოდა „ფერმერები და ბაზარი“.

პროექტის საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი იყო სამი წლის განმავლობაში (2008-2011წწ). 2011 წლის დასაწყისში, პროექტის ბიუჯეტში თანხების დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, კიდევ ოთხი თვით, 2011 წლის ივნისის ბოლომდე. მოგვიანებით, თანხების კვლავ დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე, დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად, პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი თანხების ფარგლებში.

BP-ისა და მისი აქციონერების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში, რომლის მიზანია სამი მილსადენის (BTC/SCP/WREP) პროექტის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა და, აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა საქართველოში BTC/SCP და WREP მილსადენების ახლოს 2009 წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

### CDI 3

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზა (CDI 3) 2010 წლის მაისში BTC და SCP მილსადენების ტერიტორიაზე დაიწყო პროგრამის ხელმძღვანელმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ქეა საერთაშორისო“. ახალი ფაზის დაწყებამდე CDI 2-დან CDI 3-ზე შეუფერხებელი გადასვლა CDI 2-ის რამდენიმე კომპონენტის გაგრძელების აუცილებლობამ განაპირობა.

„ქეა საერთაშორისო“ მიერ CDI 3-თან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადება, როგორც კომპანიის შიგნით BTC/SCP ჯგუფის მიერ, ასევე საქართველოში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა განხილული. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ევროკავშირი (EU) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო სამხრეთ კავკასიაში (SDC).

2010 წლის მაისში ხელი მოეწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას ორგანიზაციასთან „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რომელიც განახორციელებს პროგრამას ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრთან“ (CTC) და ბანკ „კონსტანტასთან“ (მიკროსესხები) ერთად. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის იანვრის ბოლო, ხოლო მთლიანმა ბიუჯეტმა 1,865,081 აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის ბიუჯეტის თანხების დაზოგვის გამო, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის დასასრულებლად, პროგრამა გაგრძელდა დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე, ორი თვით, 2012 წლის მარტის ბოლომდე.

პროგრამის მესამე ფაზის მიზანი იყო, მდგრადი სოციალური და ეკონომიური განვითარების ხელშეწყობის გზით, მიღსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური და ჰარმონიული ურთიერთობების გადრმავება და განმტკიცება. ქვეყნის სპეციფიკის, ასევე პროგრამის I და II ფაზების ფარგლებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო პროექტების ყველაზე შესაფერის ორ ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დასახელდა.

პროექტის განხორციელების პირველი თვეების განმავლობაში „ქეა“ შეისწავლის იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობას, რომლებიც შეძლებდნენ თავის თავზე აეღოთ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობა CDI 3-ის მეორე წლის განმავლობაში. კერძოდ ეს კომპონენტები იქნებოდა სოფლის მეურნეობის დარგში საკონსულტაციო მომსახურება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისთვის საჭიროსაქმიანობების შესრულება. „ქეა საერთაშორისომ“ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია: “რეგიონული განვითარების ასოციაცია” შეირჩა დასავლეთის სექტორში, ხოლო “ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრს” დაევალა სამუშაოების ჩატარება აღმოსავლეთ სექტორის მასშტაბით.

მე-3 ფაზის დაწყებიდან თვის შემდეგ, „ქეამ“ დაიწყო აღნიშნული კომპონენტების გადაცემა შერჩეული ორგანიზაციებისათვის, მაგრამ თავად ასრულებდა დამკვირვებლის და კონსულტანტის ფუნქციას, პროგრამის მიმდინარეობის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

მოსახლეობასთან უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობის და დადებითი ზემოქმედების თვალსაზრისით უკვე მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად, აგრეთვე კომპანიის ბიზნესსაქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის და ქვეყნის მასშტაბით კომპანიის რეპუტაციის განსამტკიცებლად, დაიგეგმა „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მე-4 ფაზა.

CDI 3-ის დასასრულს, პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობა შეფასდა საგარეო შემფასებლების მიერ, რომელთა დასკვნითი ანგარიშის თანახმად, სამომავლოდ „ნაციონალიზაციის“ სტრატეგიის განხორციელების პროცესი მართებულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული. ამავე შეფასების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებს – CTC-ს და RDA-ს შესწევთ უნარი, რომ განახორციელონ პროგრამის მომდევნო ფაზა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ ორგანიზაციებს წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI 4-ის განხორციელების თაობაზე.

#### **ადგილობრივი მოსახლეობის განვითარები ინიციატივა – მე - 4 ფაზა**

2012 წლის მარტში, „BP საქართველომ“ შესთავაზა CTC-სა და RDA-ს, რომ მათ წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI-ის მე-4, სამწლიანი ფაზის განხორციელების შესახებ (CDI 4).

CDI 4-ის განხორციელების სატენდერო წინადადებები განხილულ იქნა როგორც კომპანიის შიგნით, BTC და SCP-ის პასუხისმგებელი პირების მიერ,

ისესაგარეო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელშიც შედიან საქართველოში მოქმედი ძირითადი ღონორი ორგანიზაციების – ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის (SDC) - წარმომადგენლები.

განხილვამ უჩვენა, რომ ორივე ორგანიზაციის წინადადებები შეესაბამებოდა CDI4-ის მიზნებს და შესაძლებელი იყო, რომ CTC-ს პროგრამა განეხორციელებინა აღმოსავლეთ რეგიონში, ხოლო RDA-ს – დასავლეთ რეგიონში. პროგრამის მე-4 ფაზის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2012 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე, ხოლო მთლიანი ბიუჯეტი 3,044,094 აშშ დოლარს შეადგენს.

ზოგადად, პროგრამის მე-4 ფაზის ამოცანებია: პოზიტიური ურთიერთობის გაღრმავება კომპანიასა და BP-ის მიმსაღმდეგების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის, რაც მიიღწევა მდგრადი განვითარების პროექტებში ინვესტირების და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ძირითადი მიმართულებებია – სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აგრეთვე სათემო ორგანიზაციების მიერ სოციალური საწარმოების შექმნა.

CDI 4-ის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმების და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რეგიონალური აგრობიზნესის ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესების შექმნა, საქონლისა და მომსახურების მიწოდების მიზნით.

### **პროგრამის მართვა და კოორდინაცია**

CDI პროგრამების მართვა ხორციელდება კომპანიის თბილისის ოფისში მომუშავე სოციალური პასუხისმგებლობის ჯგუფის მიერ. ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მრჩეველის სამუშაო დრო მთლიანად ეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მონიტორინგს და შეფასებას. ის სისტემატურად მონაწილეობს სავლელ საქმიანობაში, ამოწმებს ყოველთვიურ, კვარტალურ, წლიურ და დასკვნით ანგარიშებს, აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და სხვა სოციალურ ქვეკონტრაქტებს, აღრიცხავს შესაბამის ინვოისებს, უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა და პროცედურები BP-ის პრინციპებს მიესადაგებოდეს და რომ პარტნიორმა ორგანიზაციებმა განუხრელად დაიცვან BP-ის ქცევის კოდექსი და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, რომლის მიხედვით, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ ქცევის კოდექსის სრული დაცვით, როცა სამუშაოს BP-ის სახელით ასრულებენ.

CDI მრჩეველი ექვემდებარება *სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერს*.

პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები BP-ის წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებშიც შეჯამებულია საანგარიშო თვეში ჩატარებული სამუშაოები და განსაზღვრულია მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები და მათი გადაჭრის გზები. ყოველ კალენდარულ კვარტალში



წარმოდგენილ ანგარიშებში უფრო სიღრმისეულად არის გაშუქებული ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. წლიურ ანგარიშში ძირითადი ყურადღება ეთმობა შედეგებს, მონიტორინგსა და შეფასებას, პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს და ა.შ. დასკვნით ანგარიშში ხაზგასმულია მიღწევები და ამ მიღწევებით გამოწვეული შედეგები, ასევე მოცემულია პროგრამის შედეგების ზოგადი მიმოხილვა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მიღებული გამოცდილება.

## ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-4 ფაზა (CDI 4) BTC/SCP მილსადენების პროექტებისთვის

### მიზნები და ძირითადი კომპონენტები

- **სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
  - სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმებისა და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა.
  - საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების 31 პროექტის განხორციელება;
  - 11 სათემო ორგანიზაციის (CBO) მიერ სოციალური საწარმოების შექმნა, შემოსავალის ზრდისა და მათი სოფლების მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის მიზნით.
  - კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ობიექტებითა და სოციალური საწარმოებით ისარგებლებს 25 ათასზე მეტი ადამიანი.
- **ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
  - მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება აგრობიზნესის გასაუფლებლად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა და მოსახლეობისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება.
  - 105 მცირე და საშუალო საწარმოს შექმნა, მინიმუმ 40% ქალების მონაწილეობით;
  - პროგრამით დაფინანსებული ახალი ბიზნესების 70%-ის მომგებიანობის უზრუნველყოფა გახსნიდან 12 თვეში;
  - ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში 3 ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის შექმნა;
  - ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფების მიერ პროექტის ბენეფიციარებს გაეწევათ 36 სახის მომსახურება;
  - 100 სადემონსტრაციო ფერმის შექმნა;
  - მინიმუმ 150 ფერმერს / პროდუქციის მწარმოებელს (რომელთა 30% ქალია) შეექმნებათ შესაძლებლობა ქალაქებში პროდუქციის რეალიზაციისათვის;
  - 1800 ფერმერული მეურნეობა გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე;

- მილსადენების რაიონების ფერმერებზე გაიცემა 470 სუბსიდირებული აგროსესხი;
- მოხდება სამიზნე შინამეურნეობების შემოსავლების 20%-იანი ზრდა.

**პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:**

**ძირითადი სირთულეები**

**სოციალური საწარმოების გრანტების კომპონენტის დაგვიანება**

სოციალური საწარმოების კომპონენტი CDI-დასავლეთში დაიწყო დაგვიანებით, რადგან პოტენციურ გრანტის მიმღებებს შორის არ არსებობდა მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მიეღწიათ ამ პროექტების გრძელვადიანი კომერციული სიცოცხლისუნარიანობისთვის, სოციალური პროფილის შენარჩუნების პირობებში.

ამ პრობლემის გადაჭრის კონტექსტში, მოხდა ტრენინგების სერიის ორგანიზება, რომლის მიზანი იყო სოციალური საწარმოს არსის განმარტება, პრაქტიკული მაგალითების ჩვენება და მონაწილეობის მსურველთა წახალისება.

შედეგად, სოციალური საწარმოს შექმნის შესახებ შემოსული ექვსი განაცხადიდან ერთი პროექტი შეირჩა დასაფინანსებლად.

**მოსახლეობის ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება, სათემო ორგანიზაციების საქმიანობა**

**ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების გაუმჯობესების პროექტები**

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, 9 სოფელში დასრულდა პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და დასრულებული პროექტები აისახა შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციაში. დამატებით 4 სოფელში მიმდინარეობს მუშაობა პროექტების საბოლოო ფინანსური დოკუმენტაციის შედგენაზე, შესაბამისი მოთხოვნების სრული დაცვით. პროექტების მთლიანი ბიუჯეტის დაფინანსებაში მოსახლეობის მონაწილეობის წილმა 34%-54% შეადგინა. ინფრასტრუქტურის რეაბილიტირებული ობიექტებით ისარგებლებს დაახლოებით 2000 კომლი, მათ შორის, 28 კომლი პროგრამის არასამიზნე სოფლებიდან – გურკიელი (ახალციხის რაიონი) და ბენარი (ადიგენის რაიონი).

რეაბილიტირებული სარწყავი სისტემის მეშვეობით მორწყება მიწის ნაკვეთები 730 ჰექტარ ფართობზე, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას მინიმუმ 30%-ით, დაწყებული 2013 წლის გაზაფხულის სეზონიდან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმდა 52 პირი.

აღსანიშნავია, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებამ მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტების მთლიანი ბიუჯეტის 4% შეადგინა.

CDI-დასავლეთის ფარგლებში, CIVICUS-ის სისტემით შეფასების შედეგების მიხედვით შემუშავდა ტრენინგის კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: თემი და სათემო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციების მისია, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული სტრატეგია, სათემო ორგანიზაციების სტრუქტურა და თავისებურებები, ადგილობრივი მოსახლეობის გავითარების პროექტების მართვა, სათემო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშვალდებულება.

ამ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 10 სათემო ორგანიზაციის ოცმა წარმომადგენელმა გარდაბნის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან.

ბიზნესის მართვისა და დაფინანსების მოზიდვის საკითხებში უკვე არსებული ტრენინგების პროგრამების გარდა, CDI-დასავლეთის ფარგლებში შემუშავდა ტრენინგის ახალი მოდულები – სურსათის უვნებლობისა და კონფლიქტების მოლაპარაკების გზით დარეგულირების საკითხებში.

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში CDI-დასავლეთის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგების სოციალურ კომპონენტს დაესწრო 64, ხოლო ეკონომიკურ კომპონენტს – 51 პირი.



### *სოციალური საწარმოები*

პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ სათემო ორგანიზაციებს შორის გამოცხადდა კონკურსი სოციალური საწარმოს შესაქმნელად დაფინანსების მისაღებად.

CDI-დასავლეთის ფარგლებში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ექვსმა სათემო ორგანიზაციამ. წინადადებები CDI-დასავლეთის გრანტების შესარჩევმა კომიტეტმა შეაფასა. გამსვლელი ქულა მიენიჭა სოფელ ივლიტადან წარმოდგენილ წინადადებას. სოფელ ივლიტას სათემო ორგანიზაცია წარმოდგენილია ახალგაზრდების ჯგუფით, რომელთაც განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინეს სოციალური საწარმოების იდეის



მიმართ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყველა შეთავაზებულ ტრენინგში. სოციალური საწარმოების პროექტის ფარგლებში, სათემო ორგანიზაცია გეგმავს, რომ სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაწევის მიზნით შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: ტრაქტორი, კულტივატორი, სათიბი და გრეიდერი. პროექტის მესვეურები (სათემო ორგანიზაცია) იღებენ ვალდებულებას, რომ მიღებული მოგებით მომსახურებას გაუწევენ სოფელში მცხოვრებ ოთხ სოციალურად დაუცველ ოჯახს.

*დახმარება სოფლის მეურნეობის დარგში და ახალი ბიზნესების დასაწყებად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდირებული სესხები ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას*

### **სოფლის მეურნეობა**

პროექტის ფარგლებში შეირჩა და მოეწყო 88 სადემონსტრაციო ფერმა და გაფორმდა ხელშეკრულებები სადემონსტრაციო ფერმების ფერმერთან. ამ ეტაპზე, პროექტი 150 ფერმერთან თანამშრომლობს.

სადემონსტრაციო ფერმების წარმომადგენელი 20 ფერმერის და 56 დაინტერესებული პირის მონაწილეობით ჩატარდა 20 ჯგუფური ტრენინგი და 43 ინდივიდუალური ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: “ძროხების წვევადობა”, “თესვის წინ ნიადაგის სასუქით გამდიდრება: ხეხილის ბაღის ნიადაგის დამუშავება”, “ხეხილის ბაღისთვის ნერგების შერჩევა”, “ხეხილის ბაღის ქვენიადაგის მომზადების წესები”, “წვეთოვანი სარწყავი სისტემების მახასიათებლები” და ასე შემდეგ.

მიმდინარე კვარტალში სადემონსტრაციო ფერმების პროექტს შეუერთდა ახალი ფერმერი, რის გამოც CDI-დასავლეთის მთლიანი სადემონსტრაციო ფართობი გაიზარდა და 18,18 ჰექტარი შეადგინა.

CDI-დასავლეთში მოწყობილი ვაშლის სადემონსტრაციო ბაღი, აგრეთვე CDI-აღმოსავლეთში მოწყობილი სხვა ხეხილის ბაღები CDI-ს ახალ ინციატივას წარმოადგენს, რომელიც ფერმერებში დიდ ინტერესს იწვევს. დასავლეთში 14-მა ფერმერმა დარგო ვაშლის ხის ნერგები საკუთარ ნაკვეთში, CDI-ს სადემონსტრაციო ფერმაში გამოყენებული ტექნოლოგიით.

ოქტომბრის ბოლოს საქონელი ზაფხულის საძოვრებიდან ბრუნდება და ფერმერები იწყებენ საქონლის კვებას მშრალი მასით. მიმდინარე წელი საფურაყე კულტურების ნაკლები მოსავლიანობით აღინიშნა, ამიტომ კომბინირებული საკვების ფასი მაღალ ნიშნულზე რჩება. საანგარიშო პერიოდში CDI-დასავლეთმა დაიწყო სუბსიდირებული კომბინირებული საკვების დარიგება 124 ფერმერისთვის. თითოეულმა ფერმერმა მაქსიმუმ ორი ოცკილოგრამიანი ტომარა კომბინირებული საკვები მიიღო, საკუთარი წილობრივი თანამონაწილეობის გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში მოეწყო გაცვლითი ვიზიტები პროექტის სადემონსტრაციო ფერმებს შორის, ისევე როგორც პროექტის სამიზნე

ფართობების ფარგლებს გარეთ. CDI-დასავლეთის ფარგლებში, მოეწყო ვიზიტი გორში მდებარე ვაშლის ხის სანერგეში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა სადემონსტრაციო ფერმერმა და კიდევ შვიდმა ფერმერმა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ CDI-ს ბენეფიციარი ფერმერებისგან ახალი ტექნოლოგიების ათვისებით. სადემონსტრაციო ფერმების ტექნოლოგიების გასაზიარებლად, შვიდმა ფერმერმა შეიძინა ვაშლის ხის ნერგები საკუთარ ხეხილის ბაღებში დასარგავად.

ფერმერთა ასოციაცია “სამცხემ” მესამე წელს მიიღო 29,400 კგ კარტოფილის მოსავალი. მიმდინარე წელს საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 33 ტონა შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით არსებულ საშუალო მაჩვენებელს (20-25 ტონა) გაცილებით აღემატება.



### გასაღების ბაზარი

CDI-დასავლეთმა დახმარება გაუწია CDI-ს ფერმერებს, რომ მოეხდინათ პროდუქციის რეალიზაცია თბილისში მდებარე ჰიპერმარკეტ “კარფურში”, რომელმაც ოქტომბერში კარტოფილისა და ხახვის საცდელი პარტიები (1,5 ტონა) შეისყიდა. გარდა ამისა, CDI-დასავლეთმა ადგილობრივ ფერმერებს გაუწია დახმარება ჯამში 18,589 ლარის ღირებულების პროდუქციის რეალიზაციაში, რომელიც დეტალურად ცხრილი 1-ში არის წარმოდგენილი.

ცხრილი 1

| 2012 წლის მე-4 კვარტალში CDI-ს ფარგლებში გასაღებული პროდუქცია |           |                |
|---|-----------|----------------|
| პროდუქცია   | რაოდენობა | ღირებულება     |
| სუფრის კარტოფილი  | 75000     | 28,640.00 ლარი |
| ხორცი   | 7055      | 27,144.00 ლარი |
| ყველი   | 4300      | 25,095.00 ლარი |
| ხახვი   | 7000      | 5,950.00 ლარი  |
| სულ   | 11285     | 18,589.00 ლარი |

## **ბიზნესის წამოწყება**

CDI-ადმოსავლეთმა გამოაცხადა კონკურსი ადგილობრივ მოსახლეობაში ახალი ბიზნესის დაწყების მსურველთა წინადადებების დასაფინანსებლად. დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ იქნა 127 ბიზნესწინადადება.

34 კანდიდატი შეირჩა მომდევნო ეტაპზე თანამშრომლობისათვის, რაც გულისხმობდა შესაბამისი ტრენინგის კურსების ორგანიზებას, რომელიც მათ დაეხმარებოდა, რომ ბიზნესიდეები ბიზნესწინადადებად ჩარმოედგინათ. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები ბიზნესის ადმინისტრირებაში.

ტრენინგების შედეგად, ბიზნესგეგმა განსახილველად წარმოადგინა 24-მა მონაწილემ. CDI - ადმოსავლეთის შემფასებელი კომიტეტის მიერ მომდევნო ეტაპზე დასაფინანსებლად შეირჩა 16 წინადადება მცირე ბიზნესის დაწყების შესახებ. გრანტის მიმღებთა თანამონაწილეობის წილი 40% იყო.

CDI-ს დასავლეთ სექტორში ახალი ბიზნესების დაწყების კომპონენტის პირველი რაუნდი მთლიანად შესრულდა. 18 დაფინანსებული პროექტი წარმოდგენილია 13 სამიზნე სოფლიდან და სრულიად განსხვავებულ სფეროებს ეხება, ხოლო გრანტის მიმღებთა თანამონაწილეობის წილი საშუალოდ 57%-ს შეადგენს.

საქმიანობის სფეროები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს სოფლის მეურნეობას, განათლებას, ხალხურ რეწვას, საკვები პროდუქტების გადამამუშავებას, საცალო ვაჭრობას, ჯანდაცვის ობიექტებს და სილამაზის სალონებს.

51 გრანტის მიმღებს, ჩაუტარდა ტრენინგები ბიზნესის მართვის საკითხებში. ტრენინგის დამსწრეთა შორის იყო პირველი რაუნდის მონაწილე ყველა ახალი ბიზნესის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი. ტრენინგებზე ხაზგასმული იქნა ფინანსური და სხვა ადმინისტრაციული მონაცემების ყოველდღიური აღრიცხვის მნიშვნელობა.

CDI-დასავლეთის ორგანიზებით 22 მეწარმესთვის მოეწყო ტრენინგები სურსათის უვნებლობის საკითხებში, რომელიც მიეძღვნა უკანასკნელ ხანს (2012 წელს) სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობის სფეროში გამკაცრებულ რეგულაციებს, რომლებიც ეხება გარკვეულ მაღფუჭებად პროდუქტებს (ცხოველური წარმოშობის). ტრენინგის მონაწილეთა წარმოების მცირე მასშტაბების გათვალისწინებით, ტრენინგებზე მეტი ყურადღება დაეთმო აღრიცხვის წარმოების მნიშვნელობას, ნედლეულისა და მასალების და მზა პროდუქციის სწორად შენახვისა და მარკირების პროცედურებს, საკვები პროდუქტების წარმოებაში ჩართული პირების მიერ ელემენტარული სანიტარული ნორმების დაცვას და საწარმოს სწორად (უსაფრთხოდ) მოწყობის წესებს.

დასავლეთის სექტორში მცირე ბიზნესის დასაწყები გრანტების მიმღებთა მიერ მიღებულმა შემოსავალმა, დაახლოებით 500 გაწეული მომსახურებისათვის ჯამში 9.7 ათასი ლარი შეადგინა, საშუალოდ 53% მოგების წილით. ამოქმედების დღიდან, პირველი რაუნდის პროექტების

ფარგლებში მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა 680 სერვისისთვის 14300 ლარი შეადგინა.

მიუხედავად ბიზნესის არსებობის მოკლე პერიოდისა, დასავლეთის სექტორში მიმდინარე ზოგიერთი პროექტის ფარგლებში უკვე გამოიკვეთა განვითარებისა და გაფართოების ტენდენციები. სილამაზის სალონმა გაზარდა სამუშაო ცვლების რაოდენობა და გეგმავს მოსწავლის აყვანას, მომავალში დასაქმების მიზნით, სადურგლო სახელოსნოში გეგმავენ მიღებული შემოსავლის გამოყენებას დამატებითი იარაღების შესაძენად. ზოგიერთმა პროექტმა გააფართოვა მომსახურების არეალი, გასცდა CDI-ს გეოგრაფიულ საზღვრებს და მიმდებარე სოფლებიც მოიცვა.



### *მომსახურების ჯგუფი*

მიმდინარე კვარტალში ფუნქციონირება დაიწყო პირველი რაუნდის ფარგლებში დაფინანსებულმა ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფმა ახალციხიდან - შპს “ქაუნთ სერვისმა” და ამ დროისთვის მის საქმიანობაში უკვე გარკვეული წინსვლა აღინიშნა, კერძოდ, იზრდება მისი ცნობადობა რეგიონის მასშტაბით და იგი კლიენტებს CDI-დასავლეთის სამიზნე სოფლების გარედანაც იზიდავს. “ქაუნთ სერვისმა” დახმარება აღმოუჩინა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განმახორციელებელ სამ სათემო ორგანიზაციას ფინანსური დოკუმენტაციის შედგენაში. გარდა ამისა, “ქაუნთ სერვისს” დახმარებისათვის მიმართა 15-მა გარედან მოსულმა კლიენტმა.

ახალციხეში მოქმედი ამ ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის წარმატების გათვალისწინებით, CDI-დასავლეთმა უფრო აქტიურად დაიწყო ამ კომპონენტის ხელშეწყობა სხვა რაიონებში, სადაც გაავრცელა შესაბამისი განცხადებები. ამ აქტიურობის შედეგად, ადიგენის რაიონიდან უკვე მიღებულია ერთი განაცხადი.



## **ხელმისაწვდომი სახესხო კაპიტალი**

CDI-აღმოსავლეთის ფერმერებზე გაცემული სესხების უმრავლესობა აღებულია თივის ბრიკეტების შესაძენად და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად, მაგალითად, კარტოფილის მოსავლის ასაღებად.

CDI-დასავლეთსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს სუბსიდირებული აგრარული სესხების გაცემას სამიზნე ფერმერებისთვის. „საქართველოს ბანკმა“ ფერმერებს შესთავაზა 30%-იანი საპროცენტო განაკვეთი, რომლის ნახევარს პროექტი დაფარავს.

## **მომდევნო კვარტალი**

### **CDI 4 აღმოსავლეთი**

მომდევნო კვარტლისთვის დაგეგმილი სამუშაოები:

- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტების დასრულება;
- ფერმერებისთვის ნედლეულისა და მასალების მიწოდება;
- პროექტის წლიური ანგარიშის წარდგენა.

### **CDI 4 დასავლეთი**

- ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში გამოქვეყნდება მოწვევა მეორე რაუნდის საკონკურსო წინადადებების წარმოსადგენად;
- სოციალური საწარმოების კომპონენტის ფარგლებში გამოქვეყნდება მოწვევა მეორე რაუნდის საკონკურსო წინადადებების წარმოსადგენად;
- მოეწეობა სადემონსტრაციო ფერმების ნაწილი;
- დასრულდება კომბინირებული საკვების განაწილება;
- RDA გააფორმებს მეორე საგრანტო ხელშეკრულებას ადგიგენის რაიონიდან წარმოდგენილ კონკურსანტთან, ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის შექმნის მიზნით;
- გამოქვეყნდება პროექტის საბოლოო ანგარიში.

## **ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა WREP მილსადენის მიმდებარე სოფლებისთვის**

2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოში WREP მილსადენის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა BTC და

SCP მილსადენებისთვის შექმნილი პროგრამის მართვის ერთიან სტრუქტურაში მოქცეულიყო. შედეგად, სატენდერო წინადადებების მოთხოვნის (RfP) პროცესის მეშვეობით, პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. პროექტის სამიზნე მიმართულებად განისაზღვრა ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

“ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის” განხორციელება 2010 წლის მაისში დაიწყო. სატენდერო პროცესის მეშვეობით, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციად შეირჩა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სკაუტები“, რომელიც პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - “ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი” და სხვა პარტნიორებთან.

პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის მაისი. პროექტის მთლიანმა ბიუჯეტმა 482,013 აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც BP-ის მიერ ამ პროექტის განსახორციელებლად 299,923 აშშ დოლარი გამოიყო. 173,490 აშშ დოლარის თანადაფინანსება გამოიყო სკაუტების ადგილობრივი ორგანიზაციისა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის“ (CTC) მიერ, აგრეთვე „შვეიცარიის მეგზურებისა და სკაუტების მოძრაობასთან” ერთად განხორციელებული პროექტის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, დამატებით 55 ათასი აშშ დოლარი გამოიყო დამატებითი ღონისძიებებისათვის, მათ შორის, მეორე საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად და აგრეთვე სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ჩასატარებლად პროექტის მონაწილე სკოლების მასწავლებლებისთვის. პროექტის ყველა ეს დამატებითი ღონისძიება დაიგეგმა სამიზნე სკოლებისა და ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად, პროექტი გაგრძელდა 2012 წლის ივნისის ბოლომდე. პროექტის განხორციელება საანგარიში პერიოდში დასრულდა.

2012 წლის მე-3 კვარტალში კომპანიამ ხელახლა გამოაცხადა ტენდერი WREP მილსადენის გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ახალი პროექტების განმახორციელებელი პარტნიორის გამოსავლენად.

WREP მილსადენის მთელი მარშრუტის მიმდებარე სოფლებში დაიგეგმა “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი”, რომლის განმახორციელებელ პარტნიორად შეირჩა სკაუტური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაცია.

პროექტი მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას და განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობს WREP მილსადენის 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს), ასევე BP-ის მიწისზედა ობიექტებთან მისასვლელი გზების 4 კმ სიგანის დერეფანში (2კმ გზის თითოეულ მხარეს), ან განიცდის ზემოქმედებას რომელიმე მონაკვეთზე კომპანიის რაიმე ინტენსიური ოპერატიული საქმიანობის მიმდინარეობის გამო.

სამიზნე სოფლების გარდა, პროექტი ასევე განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხ დასახლებაში, რომლებიც WREP მილსადენიდან 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს) მდებარეობს. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა ძირითადად მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში არსებული სკოლების მოსწავლეების უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვემოთ აღწერილია მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები.

## **მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი (SBDP) – მიზნები და ძირითადი კომპონენტები**

- მილსადენის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის შესაძლებლობების შექმნა, რათა მათ განავითარონ მცირემასშტაბიანი აგრო- და არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ცოდნისა და საშუალებების გადაცემის გზით.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა 4 სამიზნე დასახლებაში არსებული სკოლების მოსწავლეებისთვის გარემოსდაცვითი საგანმათლებლო ინიციატივების განხორციელება, გარემოს დაცვის სფეროში მოსწავლეებისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემა, რაც შეცვლის მათ დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოს მიმართ.
- ორგანიზაცია “საქართველოს სკაუტების” შესაძლებლობების განვითარება, რათა მოხდეს მათ მიერ გაწეული ხარისხიანი სერვისების დივერსიფიკაცია.

პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი მთავარი შედეგებია:

- 257 ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნა, რომელთაგან მინიმუმ 75% უნდა გახდეს ფინანსურად მდგრადი, რათა შეძლოს ბიზნესის გაფართოება და შემდგომი განვითარება, მიღებული მოგების რეინვესტირების გზით;
- მინიმუმ 275 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;
- გრანტების 50% გაიცემა ბიზნესის დაწყების მსურველ ქალებზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში არსებული სკოლების მოსწავლეებისთვის “მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის” გაცნობა.



**პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:**

**ძირითადი სირთულეები:**

- რამდენიმე სოფელს შორის საზღვრები გამიჯნული არ არის. რამდენიმე სამიზნე სოფელი ქმნის ერთ თემს სხვა სოფლებთან ერთად, რომლებზეც SPDP პროექტი არ ვრცელდება, თუმცა ყველა ამ სოფლის მაცხოვრებელს რეგისტრაციის ადგილად ერთი და იმავე თემის სახელი აქვს მითითებული;

ქმედება: გადაწყდა, რომ პირველი რაუნდის შემდეგ შემოწმდება თითოეული კონკურსანტის საცოვრებელი რეგისტრაციის ადგილი, ვიდრე მოხდება მათი მიწვევა ტრენინგებზე საკონსურსო წინადადებების შედგენის საკითხებზე.

- იძულებით გადაადგილებულ პირთა 3 დასახლებაში არ არის სკოლა და ამ დასახლებების ბავშვები მეზობელი სოფლების სკოლებში დადიან.

ქმედება: მოსაწველეთა ჯგუფებთან შეხვედრები მოეწყო დასახლებებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში.

**ანგარიშის ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობა და ძირითადი მიღწევები და შედეგები:**

- პროექტის მიზნებისათვის მოეწყო ორი ოფისი, ერთი თბილისში (რომელიც ზოგად მენეჯმენტს და კოორდინირებას უწევს აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე საქმიანობას) და ერთი ქუთაისში (რომელიც კოორდინირებას უწევს საქმიანობას დასავლეთის სექტორში);
- ჩატარდა პროექტის დაწყების სემინარი, სადაც საბოლოოდ შეთანხმდა და ჩამოყალიბდა პროექტის მიზნები და მოსალოდნელი ძირითადი შედეგები;



- საანგარიშო პერიოდში სამიზნე სოფლებში განხორციელდა 192 საინფორმაციო ვიზიტი. პროექტის მობილიზატორები მოსახლეობას ხვდებოდნენ სოფლის სკოლებში, მაღაზიებში, თავშეყრის ადგილებში, საბავშვო ბაღებში და სხვა. რამდენიმე სოფელში განხორციელდა კარდაკარ ვიზიტებიც. ამ შეხვედრების დროს მოსახლეობას მიეწოდა ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ და დაურიგდა საინფორმაციო ბიულეტენები. მათ ასევე მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის შესახებ ადგილობრივ გამგებლებს. ხელისუფლების ყველა წარმომადგენელმა პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა პროექტის მიზნების მიმართ.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში მოეწყო 16 საინფორმაციო ვიზიტი. ავტატორმა პროექტი გააცნო დასახლების ოფიციალურ პირებს, შესაბამისი სკოლების ადმინისტრაციებს და შეხვდა ამ სკოლების მოსწავლეებს.
- ლიდერობისა და გარემოს დაცვის პროგრამებში ტრენინგებზე დასასწრებად შეირჩა 8 მოსწავლე. ჩატარებული შეფასების მიხედვით, ტრენინგზე დამსწრები მოსწავლეების 88%-მა გამოავლინა ცოდნა და უნარ-ჩვევები ისეთ საკითხებში, როგორებიცაა – ლიდერობის სტილი და ფორმები, ჯგუფებად ჩამოყალიბება, თვითმენეჯმენტი და მცირემასშტაბიანი საქმიანობების მართვა. მოსაწავლეთა 66%-მა გამოავლინა ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები კომუნიკაციის სფეროში.



## მომდევნო კვარტალი

- გამოცხადდება კონკურსი მცირე ბიზნესპროექტების იდეების მისაღებად და შეირჩევა კონკურსანტების “მოკლე სია”;
- შეიქმნება ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფები;
- განხორციელდება გარემოსდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებული საქმიანობა;
- გამოცხადდება მოსწავლეთა ჯგუფებისთვის მიკროგრანტების პროგრამის დაწყება;
- პროექტის სამიზნე ჯგუფებს შორის ჩატარდება საბაზისო გამოკითხვა.

## აკრონიმები

|         |   |
|---------|---|
| BTC/SCP | ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი/სამხრეთ კავკასიური გაზსადენი |
| WREP    | დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი                    |
| CDI     | ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა                 |
| CIP     | საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა                            |
| FtM     | ფერმერები და ბაზარი   |
| YCBP    | ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი            |
| SBDP    | მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი                             |
| NGO     | არასამთავრობო ორგანიზაცია                                       |
| RDA     | რეგიონალური განვითარების ასოციაცია                              |
| CTC     | ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი                               |
| RFP     | სატენდერო წინადადებების მოთხოვნა                                |
| CBO     | სათემო ორგანიზაცია  |
| FLSG    | ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფი                       |

## დასასრული